საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №308
2023 წლის 22 აგვისტო

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველის – 0996 – „სსიპ – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„85	0997	სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო“;

ბ) ბიუჯეტის განმკარგველის – 5164 – „ა(ა)იპ – ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრი“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„1520[5]	5165	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“.

2. დანართ №3-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და „შემოსავალი პარკირების უფლების მოპოვებისთვის დადგენილი საფასურიდან“ - 3295 - ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის“	3297“.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**